ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 26-103

„30„ ოქტომბერი 2015 წ

ქ. თბილისი

„მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში იაფი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის პროექტის პირობებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და პარტნიორ საფინანსო ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფორმის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის №3-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში იაფი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის პროექტის პირობებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და პარტნიორ საფინანსო ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფორმის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის №3-10 დადგენილებაში (ვებგვერდი, 25/02/2015 სარეგისტრაციო კოდი 190020100.35.101.016122) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების:

1. პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით დამტკიცებულ „მეწარმეობის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში იაფი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობის პროექტის პირობების (დანართი 1):

ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „დ" ქვეპუნქტი:

„დ) შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, სტიქიური მოვლენის/სტიქიური უბედურების, ხანძრის ან შენობა-ნაგებობის დაზიანების/დანგრევის შედეგად (რომელმაც გამოიწვია ქონების დაზიანება ან განადგურება) მეწარმე სუბიექტის

დაზარალების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).“

ბ) მე-4 მუხლს დაემატოს 11^1 პუნქტი:

„11^1. პარტნიორი საფინანსო ორგანიზაციის მიერ სტიქიური მოვლენის/სტიქიური უბედურების, ხანძრის ან შენობა-ნაგებობის დაზიანების/დანგრევის შედეგად (რომელმაც გამოიწვია ქონების დაზიანება ან განადგურება) დაზარალებული მეწარმე სუბიექტებისათვის სესხი გაიცემა მე-4 მუხლის მე-11 პუნქტის „დ“-“თ“ ქვეპუნქტებითა და ამ პუნქტით განსაზღვრული შემდეგი პირობებით:

ა) წლიური საპროცენტო განაკვეთი: 3%;

ბ) სესხის პერიოდი: მაქსიმუმ 84 თვე;

გ) სესხის გადახდის შეღავათიანი პერიოდი განისაზღვრება საფინანსო ორგანიზაციის მიერ ინდივიდუალურად სესხის ძირითად თანხასა და პროცენტის ნაწილზე 6-დან 12 თვის ვადით;“

2. პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და პარტნიორ საფინანსო ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფორმას“ (დანართი 2) დაემატოს 5^1 პუნქტი:

„5^1. პარტნიორი საფინანსო ორგანიზაციის მიერ სტიქიური მოვლენის/სტიქიური უბედურების, ხანძრის ან შენობა-ნაგებობის დაზიანების/დანგრევის შედეგად (რომელმაც გამოიწვია ქონების დაზიანება ან განადგურება) დაზარალებული მეწარმე სუბიექტებისათვის სესხი გაიცემა მე-5 პუნქტის 5.1, 5.3, 5.6-5.9 ქვეპუნქტებითა და ამ პუნქტით განსაზღვრული შემდეგი პირობებით:

5^1.1 საფინანსო ორგანიზაცია გასცემს ერთობლივი პროექტით გათვალისწინებულ სესხებს წლიურ 3%-იანი განაკვეთით;

5^1.2 სესხის გადახდის შეღავათიანი პერიოდი განისაზღვრება საფინანსო ორგანიზაციის მიერ ინდივიდუალურად სესხის ძირითად თანხასა და პროცენტის ნაწილზე 6-დან 12 თვის ვადით;

5^1.3 სესხის პერიოდი იქნება მაქსიმუმ 84 თვე;“

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში იაფი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის პროექტის პირობებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და პარტნიორ საფინანსო ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფორმის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის №3-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის N3-10 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამის „მეწარმეობის მხარდაჭერა" ფარგლებში დამტკიცდა იაფი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობის პირობები და პარტნიორ საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შეთანხმების ფორმა.

გამომდინარე იქიდან, რომ არსებობს მცირე და საშუალო მეწარმეთაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რაც ხელს უშლის ბიზნეს საქმიანობების წარმატებულ განხორციელებას, მიზანშეწონილია იაფი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობის პროექტის ფარგლებში არსებობდეს ისეთი ხელშემწყობი პირობა, რაც დაეხმარება ბიზნესს მსგავსი გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მაგალითად სტიქიური მოვლენა, ხანძარი, შენობა-ნაგებობის დაზიანება/დანგრევა, რომელიც იწვევს ბიზნესის ქონებრივ ზარალს. პროექტის თანახმად, ყველა მსგავსი მეწარმე სუბიექტი, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემულ უბედური შემთხვევით დაზარალების დამადასტურებელ დოკუმენტს, დააკმაყოფილებს იაფი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობის პროექტის პირობებს და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას პროექტის დაფინანსების შესახებ, ისარგებლებს გარკვეული სახის შეღავათიანი პირობებით.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

აღნიშნული პროექტი არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.